

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ხელშეკრულება N 17.

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „01“ ნოემბერი 2016 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება“) – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებების, ასევე სრული დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნება;

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში - „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი“ ნიშნავს იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია: ერთის მხრივ

შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯვარის ამბულატორიის“ (შემდგომში დამკვეთი), დირექტორის გოჩა ლიპარტიას სახით და მეორეს მხრივ,

შპს „თეგეტა მოტორსი“ გენერალური დირექტორის თემურ კობოძის მინდობილი პირის, რუხის ფილიალის დირექტორის გრიგოლ პერტაიას „შემდგომში მიმწოდებელი“ სახით (მინდობილობის N 1270, დათარიღებული 19.08.2016წ შპს „თეგეტა მოტორსი“ –ს გენერალური დირექტორი თემურ კობოძე ენდობა ამავე საზოგადოების რუხის ფილიალის დირექტორს გრიგოლ პერტაიას პირადი N 19001002638, 111A23628, მასზედ, რომ მას აქვს უფლება ხელი მოაწეროს საქონლისა და მომსახურების მიწოდების, ნარდობის, მომსახურების ხელშეკრულებებზე, ასევე უფლება აქვს იყოს საზოგადოების წარმომადგენელი საჯარო რეესტრში, მინდობილი პირის სახელით ხელი მოაწეროს იჯარის ხელშეკრულებას, შეწყვიტოს, ვადა გააგრძელოს, შეიტანოს ცვლილება მასში, შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალების განხორციელებასთან, მინდობილობა ძალაშია 2016 წლის 20 აგვისტოდან ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მინდობილობის გამგეში უწყება იუსტიციის სამინისტრო გაცემის თარიღი 05.10.2011).

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 4 (ოთხი) ცალი 195/65R15 საბურავის (ავტომობილის საბურავების „ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშალებებისა და მათი მრავებისათვის 34300000) შექმნა;

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ობიექტია

4.2. შესასყიდი საბურავის ღირებულება შეადგენს 1 (ერთი) ცალი 110 (ასათი) ლარი, ჯამი 440 (ოთხასორმოცი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით;

4.3. საბურავის ღირებულება მოიცავს მისი მონტაჟის და ბალანსირების ღირებულებას.

4.5. მომსახურების გაწევე მოხდება შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი სოფ. რუხი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს ხელშეკრულების მე-3 მუხლში აღნიშნული საქონელი. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე და ვარგისიანობაზე;

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გადასცეს წინარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით აღნიშნული მომსახურება 2016 წლის 10 დეკემბრამდე.

5.3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება;

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე;

5.5. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე;

5.6. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე;

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმებისას;

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შპს „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ჯვარის ამბულატორიის დირექტორი გოჩა ლიპარტია.

8. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორებას;

9. ანგარიშსწორება

- 9.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში);
- 9.2. ანგარიშსწორება მოხდება გაწეული მომსახურების მიღებიდან და შესაბამისი „მიღება-ჩაბარების აქტის“ გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში;
- 9.3. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო. გადარიცხვა მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

10. ფასები

- 10.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს;
- 10.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის გაზრდის ან შეცვლის, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის;
- 10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 11.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;
- 11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;
- 11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობანი.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებელი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებთან და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და ა.შ.;

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამოწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ის ოდენობით;

14.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით;

14.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

15.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე;

15.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

15.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან;

15.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

- ა. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
- ბ. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი ურთიერთობა და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

16.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან, მოქმედებს 2017წლის 31 იანვრამდე.

17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ავთენტური ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლის თითო პირი რჩება მხარეებს.

დამკვეთი:

შპს „აფხაზეთიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა ჯვარის
ამბულატორია“
მისამართი ჯვარი სოხუმის ქუჩა N 17
ს/კ 242739961; ტელ: 591 01 82 36;
ლიბერთი ბანკის ზუგდიდის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22;
ანგ N GE51LB0113179330136000;
დირექტორი: გ. ლიპარტია

მიმწოდებელი:

შპს „თეგეტა მოტორსი“
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი,
მე-12 კმ. #5;
ს/კ 202177205; ტელ: 591 50 50 15;
თბილისი ბანკი ცენტრალური ფილიალი,
TBCBGE22;
ანგ N GE80TB0600000024467853;
რუხის ფილიალის დირექტორი
გრიგოლ პერტაია